

ენა და ენათმეცნიერება

იდიომის რაობისათვის დასავლეთეფროპულ, ქართულ და თურქულ ენათმეცნიერებაში

ანა ახალაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
aakhaladze@cu.edu.ge

დღეისათვის ლინგვისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იდიომის რაობასთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ცალკეული ენის განმარტებით ლექსიკონებში ეს ცნება მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. ერთი მოსაზრებით, იდიომა მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან ‘ιδίωμα’ (იდიომა), რაც თავისებურებას ნიშნავს, მეორე შეხედულებით, იგი ემყარება ბერძნულ ‘ιδίω’-ს (იდიოს), რომლის შესატყვისიცაა საკუთარი, კერძო. იდიომთან დაკავშირებული განმარტებების მრავალფეროვნებას სწორედ ამ „კერძო თავისებურების“ სუბიექტურ გაგება-წარმოდგენას უკავშირდება. იდიომის მიმართ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მთავარ მახასიათებლად გვევლინება შესიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც არ მიიღება მისი შემადგენელი კომპონენტების, მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობათა მექანიკური დაჯამებით, ანუ იდიომის იდიომად აღქმას უზრუნველყოფს არა მისი კომპონენტების მნიშვნელობანი, არამედ მთლიანი სემანტიკა, რომელიც არის მხატვრული აზროვნების შედეგი. შესაბამისად, იდიომები უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული ფენომენი, ერის სულიერი სამყაროს ერთგვარი სარკე.

საკვანძო სიტყვები: იდიომები, ეფროპული, ქართული, თურქული, ენათმეცნიერება.

დღეისათვის ლინგვისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იდიომის რაობასთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ცალკეული ენის განმარტებით ლექსიკონებში ეს ცნება მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. ერთი მოსაზრებით, იდიომა მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან ‘ιδίωμα’ (იდიომა), რაც თავისებურებას ნიშნავს, მეორე შეხედულებით, იგი ემყარება ბერძნულ ‘ιδίω’-ს (იდიოს), რომლის შესატყვისიცაა საკუთარი, კერძო. იდიომთან დაკავშირებული განმარტებების მრავალფეროვნებას სწორედ ამ „კერძო თავისებურების“ სუბიექტურ გაგება-წარმოდგენას უკავშირდება.

მკვლევარმა ი. ლობჯანიძემ აღნიშნული ტერმინის ცალკეულ ენაში, მათ შორის ქართულში დამკვიდრების საინტერესო, ერთგვარად შუალედური

ა. ახალაძე

ვარიანტი შემოგვთავაზა. მისი აზრით, „თვით ტერმინი უკავშირდება ბერძნულ სიტყვას ‘ιδεα’, რომელიც თითქოს სხვადასხვა ენაშიც უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ მისი პირველადი ვარიანტი შემორჩა მხოლოდ ბერძნულ ენას, დანარჩენ ენებში ტერმინი დაუკავშირდა ბერძნულ სიტყვას ‘ιδεα’“. ქართულში ტერმინი „იდიომა“ იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით დამკვიდრდა რუსულის ზეგავლენით, რომელიც ინგლისურის მსგავსად აქტიურად იყენებდა -ატ- სუფიქსს. შესაბამისად, ქართულ ენაშიც რუსულისა და დასავლეთ ევროპული ენების მიბადებით გაჩნდა ტერმინი იდიომატური' ტერმინ იდიომურ'-ის საპირისპიროდ, რომელიც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რაკი უშუალოდ იდიომ'-ისგან იწარმოება“ (ლობჯანიძე 2012: 30).

ევროპულ და ინგლისურ ენოვან ენათმეცნიერებაში იდიომატიკის, როგორც ცალკე დარგის, შესწავლა 1900-იანი წლებიდან იწყება. იდიომის ერთ-ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის უ. მაკმორდის. ჩვენ ვსარგებლობთ 1909 წელს დასტამბული მისი წიგნის მეხუთე გამოცემით, რომელიც გამიზნული იყო აღმოსავლეთის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის. ავტორი იდიომებში განიხილავს ცალკეული სიტყვის, აგრეთვე, ფრაზებისა თუ გამოთქმების თავისებურ გამოყენებას, რომელიც ხანდაზმულობის გამო ინგლისურ ენაში სტერეოტიპად იქცა (McMordie 1929: 13).

იდიომატიკის პირველ მკვლევართა რიგებში არიან ფ. ვიზეტელი და ლ. დე ბეკერი. ისინი 1923 წელს თანავტორობით გამოცემულ წიგნში მიუთითებენ, რომ იდიომა, იგივე იდიომატური ფრაზა, ისეთი ფრაზაა, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი კომპონენტებისგან, არ მიიღება მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობების შეერთებით და აქვს განსაკუთრებული გაგება, დამახასიათებელი მხოლოდ მისთვის. ავტორები განასხვავებენ იდიომატურ ფრაზებს ფიგურალური ფრაზებისგან, რომელში გამოყენებული სიტყვებიც, ჩვეულებრივ, კავშირ-ურთიერთობების გამომხატველია (Vizetelly, Bekker 1923: v-vi).

მაკმორდის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა პატრიჯის, შააპისა და სხვათა შრომებში. მათი აზრით, იდიომა შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი გრამატიკული ან ლექსიკური თავისებურება და მის ძირითად პრაქტიკულ პრინციპს მისი უთარგმნელობა წარმოადგენს (ლობჯანიძე 2012: 6-7).

იდიომის განმარტების სოციოკულტურულ თეორიას ავითარებს მ. რობერტსი, რომლის აზრით, იდიომა არის აზროვნების განსაკუთრებული ორგანიზაციის ანარეკლი, ენის მენტალური დიზაინი, დამყარებული გამოხატვის სხვადასხვა საშუალებაზე, რომლებიც აზრის მკაფიოდ და სრულად გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა. ენა უკეთესია, როცა ის უფრო იდიომატურია, ანუ უფრო ტრანსფარენტულია. მისი დაკვირვებით, იდიომების შექმნის საფუძველია ისტორიული კონტექსტი, გეოგრაფიული

არეალი. ამავე დროს მნიშვნელოვან გარემოებებს წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური მონაცემები, მისი ყოველდღიური ცხოვრება, ხელოვნება, კულტურა, არქიტექტურა, მუსიკა... (Roberts 1944: 302-305). იდიომატური ენის ნიმუშად რობერტს ძველბერძნული მიაჩნია, რომელსაც შეუძლია აზროვნების კონტურების ზუსტი სიმბოლიზაცია გრამატიკისა და რიტორიკის ჰარმონიული და დაბალანსებული თანაარსებობის საფუძველზე.

ინგლისურენოვანი იდიომატიკის გემოქანილი მკვლევრის, ჩ. ჰოკეტისთვის იდიომა არის ლექსიკოგრაფიული და სინტაქსური მოვლენა, რომლის მნიშვნელობაც არ არის დამოკიდებული მის სტრუქტურაზე, ან არ მომდინარეობს მისი სტრუქტურისგან (Hockett 1958). გამომდინარე აქედან, ენაში არ არსებობს ელემენტი, რომელიც არ წარმოადგენს იდიომს ან მის შემადგენელ ნაწილს, ანუ, იდიომად შეიძლება განიხილებოდეს ნებისმიერი შესიტყვება (Strässler 1982:15; ლოპხანიძე 2012: 7-8). ჰოკეტი არ იძლევა იდიომის მკაცრ დეფინიციას, არ ასხვავებს ლექსემურ და სემემურ ასპექტებს, თუმცა კი ჩამოთვლის იდიომის 6 განსხვავებულ ტიპს: 1. მონაცვლეები (მოიცავს პირად ნაცვალსახელებს და ციფრებს); 2. საკუთარი სახელები; 3. აბრევიატურა; 4. ფრაზული ნაერთები; 5. ფიგურალური გამოთქმები; 6. სლენგი (Hockett 1958: 310-318).

მართალია, ჰოკეტის კვლევა ფრიად საკამათოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ის რჩებოდა ერთადერთ ვრცელ ნაშრომად იდიომატიკის სფეროში.

მომდევნო პერიოდის მკვლევართა ჯ. კატცისა და პ. პოსტალის სტატიაში იდიომები მიჩნეულია გამოწვევებისგან, რაც ამტკიცებს კომპოზიციურობის წესს, რადგან ისინი არ იღებენ მნიშვნელობას სინტაქსური ნაწილების მნიშვნელობებიდან. მათი აზრით, იდიომის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ მისი სრული მნიშვნელობა, უფრო ფართო გაგებით, მის იდიომში შემავალი ნებისმიერი წინადადების მნიშვნელობის გამოკვეთა არ წარმოადგენს მისი გრამატიკული ნაწილების მნიშვნელობათა კომპოზიციურ ფუნქციას (Katz, Postal 1963: 275-282).

ურიელ ვაინრაიხის აზრით, იდიომა ეწოდება ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომელიც მოიცავს მინიმუმ ორ მრავალმნიშვნელოვან შემადგენელს და რომელშიც არის აზრების კონტექსტური შერჩევა. ანუ ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული არის იდიომა; სხვები - არა (Weinreich 1969: 23-81).

1972 წელს გამოქვეყნდა ა. მაკაის ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისური იდიომის სტრუქტურის შესახებ. იგი განასხვავებს ლექსემურ (გამოთქმები) და სემემურ (წინადადებები) იდიომებს. მაკაი გამოყოფს ოთხ სპეციფიკურ კრიტერიუმს იდიომების იდენტიფიცირებისთვის, კერძოდ: 1. მოცემულ გამოთქმაში მინიმუმ ორი თავისუფალი მორფემის არსებობა; 2. ამ მორფემების

ა. ახალაძე

შესაძლებლობა ფუნქციონირებდეს სხვადასხვა მნიშვნელობით ერთზე მეტ გარემოში; 3. ყველა იდიომის გაშიფვრის შესაძლო ბუნდოვნება, წარმოშობილი პირდაპირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობისაგან და 4. იდიომების სემანტიკური არაპროგნოზირებადობა, გამომდინარე იქიდან, რომ იდიომის მნიშვნელობა არ გამოიყვანება მისი შემადგენელი ნაწილებისგან (Makkai 1972: 58).

ვუდი გვთავაზობს იდიომის განსხვავებულ განმარტებას. მისი აზრით, „იდიომიარისრთულიგამონათქვამი, რომელიც სრულიად არაკომპოზიტურია მნიშვნელობის თვალსაზრისით და სრულიად არაპროდუქტიულია ფორმის თვალსაზრისით“ (Wood 1986).

დასავლურ ლინგვისტიკაში იდიომების კვლევის შედეგები არაერთ სამეცნიერო ნაშრომში აისახა. თანამედროვე ავტორი ა. კაცარუ, რომელმაც ინგლისურ იდიომებს მიუძღვნა თავისი დისერტაცია და მონოგრაფია, აკეთებს ერთგვარად შემაჯამებელ დასკვნას იდიომის რაობასთან დაკავშირებით:

იდიომი არის არაპირდაპირი, გრამატიკულად კარგად ჩამოყალიბებული გამოთქმა, რომელიც შედგება ერთზე მეტი ნაცნობი ლექსიკური ელემენტისგან და უშვებს სინტაქსურ-ტრანსფორმაციული შესაძლებლობის მინიმუმს მის სტრუქტურაში და რომლის მნიშვნელობაც არ არის მისი სინტაქსური შემადგენლის კომპოზიციური ფუნქცია, მაგრამ რომელსაც ყოველთვის აქვს მომნიშვნური პირდაპირი ანალოგი (Katsarou 2011: 85).

რაც შეეხება იდიომებს დასავლურ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში, ბუნებრივია, მათში უფრო ლაკონიურ, არსებითზე აქცენტირებულ განმარტებებს ვხვდებით. კემბრიჯის ენციკლოპედიის მიხედვით, იდიომის იდენტიფიცირებას ახდენს ორი ძირითადი მახასიათებელი. იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა არ გამოიყვანება მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობების შესწავლის გზით და გამოთქმა ფიქსირებულია, როგორც გრამატიკულად, ასევე ლექსიკურად (The Cambridge Encyclopedia.. 2003: 163).

ლონგმანის საგამომცემლო კომპანიის მიერ გამოცემულ ინგლისური იდიომების ლექსიკონში იდიომი განმარტებულია, როგორც სიტყვების ფიქსირებული ჯგუფი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, განსხვავებული ცალკეული სიტყვის მნიშვნელობებისაგან (Longman Dictionary... 1990).

ამერიკელი ლექსიკოგრაფის, უებსტერის ინგლისური ენის ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, იდიომი არის გამოხატვის მეთოდი დამახასიათებელი ენის ან პირისათვის; ფრაზა ან გამონათქვამი, რომელსაც დროთა განმავლობაში მიეცა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ან სპეციალური გრამატიკული თვისება; თავისებური ფორმა ან ენის მრავალფეროვნება; დიალექტი (Webster's.. 1980: 420).

ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში „იდიომი“ განმარტებულია როგორც

ენისთვის დამახასიათებელი ფორმა ან გამოხატვა ან გამოხატულება, გრამატიკული კონსტრუქცია, ფრაზა და ა.შ.; ფრაზეოლოგიის განსაკუთრებულობა, რომლის მნიშვნელობაც ხშირად გრამატიკულად და ლოგიკურად განსხვავებულია (Oxford English Dictionary 1989: 624).

აქვე, შედარებისთვის მოგვყავს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში შესული იდიომის განმარტება: იდიომი არის ენობრივი ერთეულების ერთობლიობა, რომლის მნიშვნელობა არ ემთხვევა მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობას. ეს შეუსაბამობა შეიძლება გამოწვეული იყოს მთლიანის შემადგენლობაში ელემენტების მნიშვნელობის ცვლილებით (EC3, ტ. 10).

ქართულ ლინგვისტიკაში იდიომატური მიმართულების კვლევები XX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება. 1955 წელს არნ. ჩიქოვას საერთო რედაქციით გამოცემულ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომში იდიომი განისაზღვრება როგორც ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ქეგლ 1955).

ერთ-ერთი პირველი და, ალბათ, ყველაზე მისაღები განმარტება ეკუთვნის ა. თაყაიშვილს, რომლის მიხედვით, „იდიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ (თაყაიშვილი 1961: 40).

მსგავსი დახასიათება ეკუთვნის ალ. ონიანსაც, რომლისთვისაც იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან (ონიანი 1966: 7).

გ. შალამბერიძე იდიომის მხატვრულ ღირებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, იდიომებს ე.წ. ლექსიკალიზებულ სიტყვათშეერთებებს, დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა და იხმარება გადატანით, ხატოვნად. ისინი ხალხის მხატვრული თავისებურებითაა გაპირობებული და ქმნიან ამ ენის ეროვნულ კოლორიტს (შალამბერიძე 1966: 269).

პროფ. ნ. სტამბოლიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ნებისმიერი ენის იდიომატური გამოთქმების სიმდიდრე არის ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ეროვნული ენობრივი ცნობიერების მონაპოვარი და წარმოადგენს ნებისმიერი ხალხის მსოფლიოს ენობრივი სურათის როგორ უნივერსალურ, ისე თვითმყოფად ეროვნულ ნაწილს“ (სტამბოლიშვილი 2018: 655).

შ. აფრიდონიძე იდიომისა და იდიომურობის საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში ტერმინის მნიშვნელობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“ (აფრიდონიძე 1983: 73).

ა. ახალაძე

თ. გამყრელიძე საფუძვლიანად განმარტავს იდიომს და აღნიშნავს, რომ: „იდიომები ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია. მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია... იდიომები ლექსემათა ექსპრესიული სინონიმებია. მათი მნიშვნელობა შეიცავს არა მარტო კომპონენტებისათვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრაზემის ხატოვან საფუძველსაც; ამიტომ იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნელობაზე უფრო მდიდარია“ (გამყრელიძე 2008: 376).

ო. მემიშიშის აზრით, იდიომს აქვს საერთო ნიშნები როგორც სიტყვასთან, ისე თავისუფალ შესიტყვებასთან. ამასთან იგი სიტყვისგან განსხვავდება აგებულებით, თუმცა უახლოვდება მნიშვნელობით, თავისუფალ შესიტყვებასთან კი აერთიანებს აგებულება, მაგრამ განსხვავებს მნიშვნელობა (მემიშიში 2015: 5).

თარგმანმცოდნეობის სახელმძღვანელოს ავტორის, ხ. ბერიძისთვის იდიომები ენის მყარი ნიმუშებია, რომლებიც არ ექვემდებარებიან ვარიაციას, არ გვხვდება ცალკეული შემადგენელი კომპონენტების გარეშე, დაუშვებელია კომპონენტების წყობის შეცვლა, სიტყვის ამოგდება, ჩამატება ან ჩანაცვლება, გრამატიკული წყობის დარღვევა (ბერიძე 2018: 107).

მკვლევარ ი. რუსაძის სადოქტორო დისერტაციაში ვკითხულობთ: „იდიომის მთავარი თვისება, მისი ორიგინალურობა და არასტანდარტულობაა. მისი მთავარი არსი ისაა, რომ მის კომპონენტებს დაკარგული უნდა ჰქონდეთ ძირითადი მნიშვნელობა. მათ არ უნდა ჰქონდეთ შენარჩუნებული თავიანთი ინდივიდუალური და თავისუფალი მნიშვნელობა... იგი არის შესიტყვების ფორმის მქონე თავისებური მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, რომლის სტრუქტურის შეცვლა შემადგენელი კომპონენტების შეცვლით თითქმის შეუძლებელია და მზა ფორმას წარმოადგენს. იდიომის გაგება სიტყვასიტყვით შეუძლებელია. იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც, ამდენად, ცალკე აღებული სიტყვა, მარტივი თუ კომპოზიტი, იდიომად არ მიიჩნევა (რუსაძე 2010: 74-76).

რ. შეროზიას დაკვირვებით კი, იდიომი მხატვრული აზროვნების შედეგად არის წარმოქმნილი და ისეთივე მყარი, უცვლელი ოდენობაა, როგორიც ნებისმიერი სიტყვა. ...იდიომი „შეფარვით“ ამბობს სათქმელს და არა პირდაპირ. იგი „გაქვავებული“ მეტაფორაა (შეროზია 2014: 179-181).

ფრაზეოლოგიზმების, მათ შორის იდიომების, შესწავლას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი და მონოგრაფია მკვლევარმა ნ. ცეცხლაძემ, რომელიც იდიომის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიიჩნევს შემდეგს:

1. სემანტიკური მონოლითურობა (გული გადააყოლა, თავზე ქუდი ხურავს, გულზე ცეცხლი მოუკიდა); 2. სიტყვათა მუდმივი, განსაზღვრული რიგი; 3.

კომპონენტების სინონიმებით შეცვლის შეუძლებლობა; 4. რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა; 5. გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვა; 6. გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა (ცეცხლაძე 2018: 14).

რაც შეეხება თურქულ ენათმეცნიერებას, იდიომების შესწავლა, ძირითადად, მიმდინარეობს ხატოვან გამოთქმებსა და ანდაზა-აფორიზმებთან მიმართებით. თავად სიტყვა „იდიომი“ ნაკლებად გამოიყენება. „იდიომი“-ს ნაცვლად XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გამოიყენებოდა ოსმალური 'tabir'. 1935 წელს, ოსმალურ-თურქული სასაუბროს გამოცემით, თურქული ენის კვლევითმა ინსტიტუტმა 'tabir'-ის ნაცვლად საზოგადოებას შესთავაზა თურქული 'Deyim', რომელიც თანდათან დამკვიდრდა როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ენაში იდიომის მნიშვნელობით.

თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, იდიომი არის სტერეოტიპული გამოხატულება, რომელსაც, ჩვეულებრივ, აქვს რეალურისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობა (Türkçe Sözlük 1983: 298). თურქული იდიომების ლექსიკონში იდიომი განმარტებულია, როგორც მინიმუმ ორი სიტყვისგან შემდგარი სიტყვათა წყობა, რომელსაც მისი შემადგენლებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს (Par 1993).

თურქ ენათმეცნიერთაგან იდიომის ერთ-ერთი პირველი განმარტება ეკუთვნის ო. ბაშქანს, რომლის მიხედვით, თუკი სიტყვათა ჯგუფის მთლიანი მნიშვნელობა ცალკეული სიტყვის მნიშვნელობისაგან განსხვავებულია, ასეთ შესიტყვებას იდიომი ეწოდება (Başkan 1969: 9).

თურქული გრამატიკის ავტორის თ. ნ. გენჯანის აზრით, ყველა ენაზე არსებობს მრავალი სტერეოტიპი და ფრაზების სიმრავლე, რომელთა მნიშვნელობაც განსხვავებულია სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობებისაგან. მათი სტრუქტურა არ ემორჩილება რაიმე წესს და პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ერთეულს ეწოდება იდიომი (Gencan 1979: 527).

საინტერესოა, რომ თურქი მკვლევარი დოღან აქსანი ერთსიტყვიანი იდიომის შესაძლებლობასაც უშვებს. მისი აზრით, იდიომი ესაა განსხვავებული აზრის მატარებელი შესიტყვება, იშვიათ შემთხვევაში სიტყვა, რომელიც გამოიყენება გარკვეული ემოციისა და სიტუაციის გამოსახატად (Aksan 1882: 37).

იდიომის რაობაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორის ო. ა. აქსოის აზრით, იდიომი არის სიტყვათა სტერეოტიპული ჯგუფი ან წინადადება, რომელიც მიმზიდველი ფორმით ან განსაკუთრებული სტრუქტურით გამოხატავს იდეას, განსხვავებულს მისი პირდაპირი მნიშვნელობისგან (Aksoy 1988: 52).

ა. ახალაძე

თურქი ავტორები: ზ. ქორქმაზი, მ. ჰენგირმენი, ა. ფუსქულლუოღლუ, ი. ბაჰადინლი და სხვები იდიომს ძირითადად სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობისგან განსხვავებული აზრის მატარებელ, ორი და მეტი სიტყვისგან შემდგარ, გარკვეული სილამაზისა და ხიზლის მატარებელ მყარ ლექსიკურ ერთეულად განიხილავენ (Ballı 2019: 35-37).

იდიომებს მიუძღვნა თავისი კვლევები ლ. უზუნმა, რომლის დაკვირვებით, იდიომების მთავარი დამახასიათებელი თვისება არის სტრუქტურის შემადგენელი, ურთიერთდამოკიდებული ნაწილების მნიშვნელობების განსხვავება მთლიანის მნიშვნელობისაგან. სწორედ ეს უკანასკნელია იდიომის ფენომენი (Uzun 1988: 11-61; 1991: 29-39).

ა. თ. სინანის აზრით, იდიომებში გამოიყოფა შემდეგი მახასიათებლები: შესიტყვებიდან მინიმუმ ერთის მნიშვნელობის შეცვლა, გამომხატველობითი ძალის გაზრდა, მასში მინიმუმ ორ სიტყვიანი სტერეოტიპული გამოთქმის არსებობა, რომელიც აღიარებულია საზოგადოების მხრიდან (Sinan 2008:97).

როგორც ჩამოთვლილი განმარტებებიდან ჩანს, იდიომის მიმართ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მთავარ მახასიათებლად გვევლინება შესიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც არ მიიღება მისი შემადგენელი კომპონენტების, მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობათა მექანიკური დაჯამებით, ანუ იდიომის იდიომად აღქმას უზრუნველყოფს არა მისი კომპონენტების მნიშვნელობანი, არამედ მთლიანი სემანტიკა, რომელიც არის მხატვრული აზროვნების შედეგი. შესაბამისად, იდიომები უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული ფენომენი, ერის სულიერი სამყაროს ერთგვარი სარკე.

ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. 1983. *იდიომი და იდიომურობა*, საენათმეცნიერო ძიებანი, III, თბილისი.

ბერიძე ხ. 2018. *თარგმანმცოდნეობა*, ბათუმი.

გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. 2008. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, მეორე გამოცემა, თბილისი.

თაყაიშვილი ა. 1961. *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბილისი.

ლობჯანიძე ი. 2012. *იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე)*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

მემიშიში ო. 2015. *ლაზური ანდაზები და იდიომები*, ბათუმი.

ონიანი ალ. 1966. *ქართული იდიომები*, თბილისი.

რუსაძე ი. 2010. *სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)*, ქუთაისი.

სტამბოლიშვილინ., ბაბტაძენ. 2018. იდიომების წარმოშობის ლინგვისტური და ესტრალინგვისტური ფაქტორები, *Etudes interdisciplinaires en Sciences humaines (EISH)*, №5, 2018.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, 1955; ტ. VII, 1962. თბილისი.

შალამბერიძე გ. 1966. ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისი.

შეროზია რ. 2014. იდიომთან დაკავშირებული საკითხები, ქართველური მეშვეიდრობა, XVII, 2014.

ცეცხლაძე ნ. 2018. ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბილისი.

Большая Советская Энциклопедия, т. 10, 1972. Москва.

Hockett, C. F. 1958. *A Course in Modern Linguistics*, New York.

Katsarou E.C. 2011. *Descriptive and Theoretical Aspects of English Idioms*, LAP Lambert Academic Publishing AG & Co KG.

Katz, J.J. and P.M. 1963. *Postal Semantic Interpretation of Idioms and Sentences containing them*. M.I.T. Research Laboratory of Electronics Quarterly Progress Report, 1963: 275-282.

Longman Dictionary of English Idioms, Richmond, TX, USA. 1990.

Makkai A. 1972. *Idiom Structure in English*, Paris.

McMordie W. 1929. *English idioms and how to use them*, fifth edition, Oxford.

Roberts M. H. 1944. *The Science of Idiom: A Method of Inquiry into the Cognitive Design of Language*, PMLA, Modern Language Association, Vol. 59, No. 1, Mar., 1944: 291-306.

Strässler J. 1982. *Idioms in English. A Pragmatic Analysis*, Tübingen.

The Cambridge Encyclopedia of the English Language, 2003.

The New Webster's Encyclopedic Dictionary of the English Language, 1980. New York.

Vizetelly F. H., De Bekker L. J., 1923. *A Desk-Book of Idioms and Idiomatic Phrases in English Speech and Literature*, New York and London.

Weinreich, U. 1969. *Problems in the analysis of idioms*. In J. Puhvel (Ed.) *Substance and Structure of Language*. Berkeley, California: University of California Press.

Wood M. 1986. *A Definition of Idiom*. Bloomington: Indiana University Linguistics Club.

Aksan D. 1982. *Her Yönüyle Dil - 3*, TDK Yay., Ankara.

Aksoy Ö. A. 1988. *Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2*, İnkılâp Kitabevi, İstanbul.

Ballı E. 2019. *Devrek yöresinden derlenmiş atasözleri ve deyimlerin tematik açıdan değerlendirilmesi*, Yüksek Lisans Tezi, Zonguldak.

Başkan Ö. 1969. *Yabancı dil öğretimi. İlkeler ve Çözümler*, İstanbul.

Gencan T. N. 1979. *Dilbilgisi*, TDK Yay., Ankara.

Par A. H. 1993. *Türkçe Deyimler Sözlüğü, Serhat Dağıtım Yayınları*, İstanbul.

Sinan A. T. 2008. *Deyim kavrami üzerine notlar-I*, Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, Cilt: 18, Sayı: 2, Elazığ.

Türk Dil Kurumu Türkçe Sözlük, Türk Tarih Kurumu Basımevi, c. 1, 1983. Ankara.

Uzun L. S. 1988. *Dilbilimi açısından deyim kavramı ve Türkiye türkçesindeki örneklerin incelenmesi*, Yüksek Lisans Tezi, Ankara.

Uzun L. S. 1991. *Deyimleşme ve Türkçede Deyimleşme Dereceleri*, Dilbilim Araştırmaları.

Language and Linguistics

For the Issue of Idiom in Western European, Georgian and Turkish Linguistics

Ana Akhaladze

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
aakhaladze@cu.edu.ge

Language, as a social institution, is constantly changing and evolving, by the way, through the metaphorical understanding of solid group of words. This type, so called idiomatic expressions have long been the focus of researchers' attention, however, to date there is no consensus among linguists on its definition. The paper presents a brief history of the study of idioms, the main definitions of which are found in Western, Georgian and Turkish linguistics, the reasons for the diversity of assessments and draws a definite conclusion: In most cases, the main feature of the idiom is the special meaning of the words' group, which is not obtained by mechanical summation of its constituent components, the meanings of the words contained it. The perception of an idiom as an idiom is provided not by the separate meaning of its constituent components, but by the meaning of the whole, which is the result of poetic mind. Therefore, idioms should be considered as a national phenomenon, a kind of mirror of the spiritual world of the nation.

Keywords: Idiom, European, Georgian and Turkish Linguistics.

At present, there is no common opinion among linguists about the existence of an idiom. This concept is found with more or less different meanings in scientific literature or in the definitions of a separate language. According to one view, idiom

is derived from the ancient Greek word 'ἰδῶμα' (idiom), which means selfishness, according to another, it is based on the Greek ἰδιώτης (idios), which corresponds to- its own, private.

The researcher I. Lobzhanidze offered an interesting, somehow intermediate version of the term in some languages, including Georgian language. According to him, "the term itself is related to the Greek word 'ἰδιώτης', which seemed to be spread in different languages, but its original variant remained only in Greek, in other languages the term was associated with the Greek word 'ἰδῶμα'. In Georgian, the term "idiom" with the meaning of idiomatic pronunciation was established under the influence of Russian, which, like English language, actively used the -at-suffix. Consequently, in the Georgian language, following the example of Russian and Western European languages, the term idiomatic appeared, since it is produced directly from the idiom "(Lobzhanidze 2012: 30).

The study of idiomatic as a separate field in European and English linguistics dates back to the 1900s. One of the first explanations of the idiom belongs to Ekutvani U. McMord. We are enjoying the fifth edition of his book, published in 1909, which was intended for students and teachers of the East. The author discusses in idioms the peculiar use of a separate word, as well as phrases or expressions, which has become a stereotype in English due to old age (McMordie 1929: 13).

Among the first researchers of idiomatic are f. Wiesel and al. De Becker. They point out in a book co-authored in 1923 that an idiom, the same idiomatic phrase, is a phrase whose meaning does not derive from its constituent parts, is not obtained by combining the meanings of the words contained in it, and has a special meaning, characteristic just for him. The authors distinguish idiomatic phrases from figurative phrases in which the words used are usually expressive of conjunctions (Vizetelly, Bekker 1923: v-vi).

McMord's theory was further developed in the works of Patridge, Shap, and others. In their opinion, an idiom can be any grammatical or lexical feature of a language and its main practical principle is its non-translation (Lobzhanidze 2012: 6-7). The sociocultural theory of the definition of idiom is developed by M. Roberts argues that an idiom is a reflection of a particular organization of thought, a mental design of language, based on various means of expression that enable the expression of thought clearly and fully. Language is better when it is more idiomatic, that is, more transparent. According to him, the basis for the creation of idioms is the historical context, the geographical area. At the same time, important circumstances are the physical data of a person, his daily life, art, culture, architecture, music ... (Roberts 1944: 302-305). As an example of idiomatic language, Robert believes in ancient Greek, which can accurately symbolize the contours of thought based on the harmonious and balanced coexistence of grammar and rhetoric.

Emerging researcher of English idiom, Ch. For Hockett thinks, that an idiom is a lexicographical and syntactic phenomenon whose meaning does not depend on, or does not derive from, its structure [Hockett, 1958]. Therefore, there is no element in the language that is not an idiom or an integral part of it, that is, any word can be considered an idiom (Strässler 1982: 15; Lobzhanidze 2012: 7-8). Hockett does not give a strict definition of an idiom, does not distinguish between lexemic and semantic aspects, although it does list 6 different types of idioms: 1. Alternatives (includes personal pronouns and numbers); 2. Own names; 3. Abbreviation; 4. Phrasal compounds; 5. Figurative expressions; 6. Slang (Hockett, 1958: 310-318). It is true that the study of idiom is highly controversial, but it is also a fact that for a long time it remained the only extensive work in the field of idiom.

Researchers of the next period J. Katz and p. Idioms considered exceptions in the postal article, which confirms the rule of composition because they do not take meaning from the meanings of syntactic parts. In their view, the main characteristic of an idiom is that its full meaning, in a broader sense, the expression of the meaning of any sentence contained in its idiom is not a compositional function of the meanings of its grammatical parts (Katz, Postal 1963: 275-282).

According to Uriel Weinreich, an idiom is a phraseological unit that includes at least two ambiguous components and in which there is a contextual selection of thoughts. That is, some phraseology is an idiom; Others - no (Weinreich 1969: 23-81). Published in 1972 by a. Macai's fundamental work on the structure of the English idiom, distinguishes between lexemic (expressions) and sememur (prepositions) idioms. Makai distinguishes four specific criteria for the identification of idioms, namely: 1. The presence of at least two free morphemes in a given expression; 2. The ability of these morphemes to function in different meanings in more than one environment; 3. The possible ambiguity of the decipherment of all idioms, arising from the possibility of direct interpretation; 4. The semantic unpredictability of idioms, since the meaning of the idiom is not derived from its constituent parts (Makkai 1972: 58). Wood offers a different definition of idiom. In his view, "an idiom is a complex expression that is completely non-composite in meaning and completely unproductive in form" (Wood 1986).

The results of the study of idioms in Western linguistics have been reflected in numerous scientific papers. Contemporary author A. Katsaru, who has devoted his dissertation and monograph to English idioms, makes a conclusion about the idiom: An idiom is an indirect, grammatically well-formed expression consisting of more than one familiar lexical element that allows for a minimum of syntactic-transformational possibilities in its structure and whose meaning is not the compositional function of its syntactic component but always has a homonymous direct analogue (Katsarou 2011: 85). As for idioms in Western encyclopedias and dictionaries, it is natural to

find more succinct, substantive definitions in them. According to the Cambridge Encyclopedia, idiom is identified by two main characteristics. The meaning of idiomatic expression is not distinguished by studying the meanings of its constituent words and the expression is fixed both grammatically and lexically (The Cambridge Encyc Enlopedia ... 2003: 163).

In the Dictionary of English Idioms published by Longman Publishing Company, idiom is defined as a fixed group of words that have a special meaning, different from the meanings of individual words (Longman Dictionary ..., 1990). According to the American lexicographer Webster English Encyclopedic Dictionary, idiom is a method of expression for a characteristic language or person; A phrase or expression that has been given a special meaning over time, or a special grammatical feature (Webster's ...1980: 420).

In the Oxford English Dictionary, idiom is defined as a characteristic form or expression or expression for a language, a grammatical construction, a phrase, etc.; The peculiarity of phraseology, the meaning of which is often grammatically and logically different (Oxford English Dictionary 1989: 624). Here, for comparison, we give the definition of an idiom included in the Great Soviet Encyclopedia: an idiom is a set of linguistic units, the meaning of which does not coincide with the meaning of its constituent elements. This discrepancy may be caused by a change in the meanings of the elements in the whole composition (БСЭ, т. 10).

Studies of idiomatic directions in Georgian linguistics date back to the middle of the XX century. In 1955 Arn. Volume IV of the Explanatory Dictionary of the Georgian Language, published in the general edition of Chikobava, defines an idiom as a peculiar expression of a language, which is usually not translated literally into another language (Kegel 1955). According to Takaishvili, "an idiom is a semantically indistinguishable unit with a word form and an expressive function, the value of which does not equal the sum of the meanings of the components" (Takaishvili 1961: 40). A similar description belongs to Al. Oniani, for whom an idiom is an inseparable lexical unit in the form of words, the meaning of which does not derive from the sum of the meanings of the components (Oniani 1966: 7). C. Shalamberidze focuses on the artistic value of the idiom. In his opinion, the so-called idioms. Lexicalized word combinations have lost their literal meaning and are used figuratively, figuratively. They are conditioned by the artistic peculiarities of the people and form the national color of this language (Shalamberidze 1966: 269). According to Sherozia, idiom is the product of artistic thinking and is as solid, unchanging as any word. ... The idiom says something with "cover" and not directly. It is a "petrified" metaphor (Sherozia 2014: 179-181).

Numerous papers and monographs have been devoted to the study of phraseologies, including idioms. Tsetskhladze considers the following as the defining criteria of an idiom: 1. Semantic monolithicity (moved the heart, puts a hat on his head, set fire to the heart); 2. A constant, defined sequence of words; 3. Impossibility to replace components with synonyms; 4. Inability to reduce and expand; 5. Concealment of grammatical categories; 6. Preservation of grammatical and lexical archaisms (Tsetskhladze 2018: 14).

As for Turkish linguistics, the study of idioms is mainly concerned with figurative expressions and proverbs. The word "idiom" itself is rarely used. Ottoman 'tabir' was used instead of idiom until the 1930s and 1940s. In 1935, with the publication of the Ottoman-Turkish Conversation, the Turkish Language Research Institute offered Turkish 'Deyim' instead of 'tabir', which gradually became established in both colloquial and literal idioms.

According to the Turkish Dictionary, idiom is a stereotypical expression that usually has a more or less different meaning from the real one (Türkçe Sözlük 1983: 298). In the lexicon of Turkish idioms, idiom is defined as a set of words consisting of at least two words that have a more or less different meaning from its constituents (Par 1993).

One of the first definitions of idiom by Turkish linguists belongs to O. Başkan, according to whom, if the whole meaning of a group of words differs from the meaning of an individual word, such a phrase is called an idiom (Başkan 1969: 9).

Turkish grammar author Genjan thinks that there are many stereotypes and phrases in every language, the meaning of which differs from the direct meanings of words. Their structure does not obey any rules and direct translation is impossible. Such a special unit is called an idiom (Gencan 1979: 527). Turkish scholar Doan Aksan also explores the possibility of a one-word idiom. In his view, an idiom is a carrier of a different thought, a word rarely used to express a certain emotion and situation (Aksan 1882: 37). O.S. A. According to Aksoi, an idiom is a stereotypical group of words or sentences that express an idea in an attractive way or with a special structure, different from its direct meaning (Aksoy 1988: 52).

Turkish authors: Z. Korkmaz, m. Hengirman, A. Fuskuluoglu, I. Bah-'u'll and others consider idioms to be a solid lexical unit of a certain beauty and charm, consisting of two or more words, which carries a different meaning from the direct meaning of words (Ballı 2019: 35-37).

L. Uzun devoted his research to idioms, according to whom the main characteristic feature of idioms is the difference between the meanings of the constituent, interdependent parts of the structure from the meanings of the whole. The latter is the phenomenon of idioms (Uzun 1988: 11-61; 1991: 29-39).

As can be seen from the above definitions, there is no consensus on the idiom, however, in most cases, the main feature is the special meaning of the word, which does not take into account the meaning of its constituent components. In Nikur summary, that is, the perception of an idiom as an idiom is provided not by the meanings of its components, but by the whole semantics that are the result of artistic thinking. Consequently, idioms should be considered as a national phenomenon